თბილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — მ. მ.; 9 თვით — 7 მ 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 8 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 6 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

შინაური ქრონიკა.

— ამას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ განზრახვა აქვთ დააწესონ თბილისში ქართულის ისტორიისა და არხეოლოგიის საზოგადოება, რომლის წესდების პროექტის შედგენა უკისრნია ერთს ისტორიისა და არხეოლოგიის მოყვარე პირსაო. დღეს შევიტყეთ, რომ წესდების პროექტი უკვე მზად არის, მაგრამ, რადგან ეხლა სიცხეების გამო მომეტებული წილი ამ საქმის თანამგრძნობელთა ქალაქს გარედ იმყოფებიან, პროექტის გარჩევა და განსჯა გადადებულ იქმნა ენკენისთვემდე, როცა ამ საგნის თაობაზე შესდგება კრება, შემუშავდება წესდება და ხელ-მოწერილი გაეგზავნება უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ პროფესორის ზიოკსლის შედგენილი ელემენტარული სახელმძღვანელო ფიზიკისა ანუ ესრედ-წოდებული შესავალი, თარგმნილი ქართულად მ. ყ—ის მიერ, იბეჭდება წერა-კითხვის საზოგადოების ხარჯით და ამ მოკლე ხანში მზად იქნება.

— სოფ. ველის-ციხიდამ გვწერენ: ველის-ციხელები ძალიან დატანჯულები ვართ, რომ ფოსტა მოშორებითა გვაქვსო. მართალია, მანძილი დიდი არ არის (ნახევარ ვერსი), მაგრამ ეს მანძილი წარმოადგენს ისეთს ქვარიყეს და შუაში ისეთი ხევია, რომ ზევრჯელ და ძალიან ზევრჯელ ეს ნახევარი ვერსი დიდს სიძნელეს შეადგენს ხოლმე ფოსტამდე მიღწევისათვის. მთავარ-მმართებელს სთხოვეს ველის-ციხელებმა ფოსტის სოფელში გადმოტანა, მაგრამ ჯერ აქამომდე არა ისმის-რა, თუმცა იმედით, ძალიან იმედი გვაქვს. თუ ფოსტაც სოფელში გაგვიმართეს, მაშინ სწორედ მადლიერნი ვიქნებით. 20 ფარანი სოფელს გვინათებს ღამღამობით, აფთიაქი გვაქვს, ღამის რესტორანიც გავხსნათ, ფოსტაც და ჩვენი სოფელი ერთი საუკეთესო სოფელთაგანი იქნება მთელს კახეთში.

— ჩვენ მოგვივიდა მეხუთე და მეექვსე წიგნი ყრმათა საკითხავის ჟურნალის „ნობათისა“, რომელიც თუ მეტის შევრებითა და გემოვნებით არა, ნაკლებად არ არის გარეგანის მხრით დაბეჭდილი, ვიდრე წინა წიგნები ამ სასარგებლო დრო-გამოშვებითი გამოცემისა. შინაარსზედ ცოტაოდნად ვრცლად შემდეგ მოვილაპარაკებთ, ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ წიგნი სავსეა წერილებით, როგორც ყმაწვილების საკითხავად, ისე აღმზრდელთა და მშობელთათვის. სურათები და ასო-მთავრულები ისევე მდიდრულნი და ძვირად ღირებულნი აქვს ჩართული წიგნს. მოდი და ამისთანა ლამაზს და კოხტა ჟურნალს, წითელის სამხიარულო არშიით დაბეჭდილს, ნუ გამოიწერ და ნუ წაიკითხავ, თუნდ შინაარსი ღირსებით სრულად არ შეესაბამებოდეს წიგნის გარეგან სახეს. მაგრამ რამდენადაც გადასინჯვა მოვასწარით, ეტყობა, რომ შინაგანი ღირსება გარეგანს შვენიერებას არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

— თბილისის კლასიკურ მეორე გიმნაზიის კურს-შესრულებულთა შორის ორმა ქართველმა მიიღო სტიპენდია უმაღლესს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. პირველი მათგანი არის ყიფშიძე და მეორე აფხაზი. მათთვისვე დაუნიშნავთ გზის ხარჯად შემწეობა: პირველისათვის 120 მან. და მეორესათვის 40 მან.

— წარსულს საღამოს, როდესაც თავსხმა წვიმა იყო, ვილაცა ყმაწვილი კაცი წყალში გადავარდა და თავის დახრჩობას აპირებდა, მაგრამ მცურავებმა გადაარჩინეს. ყმაწვილის ვინაობა და მიზეზი ასეთი საქციელისა საიდუმლოდ დარჩა.

— მკითხველებს ეხსომებათ მოსამსახურეთ საზოგადოების შესადგენად მეცადინეობა, პროექტის წარდგენა და მერე ამ ხმის მიყრუება. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ხელ-ახლად აპირებენ თხოვნის მიცემას და გუბერნატორის წინაშე მეცადინეობას, რომ ნება დართონ ხსენებული საზოგადოების შედგენისათვის. ამ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ხელ-მეორედ დავუბრუნდებით, როდესაც წესდება მთავრობას გაეგზავნება დასამტკიცებლად.

— „დროების“ წინა ნომრებში იყო დაბეჭდილი ქართლიდგან მიღებული ცნობა შესახებ თაგვების გამრავლებისა და მათგან საკმაო ზარალისა; შემდეგ ამავე საგანზედ ზემო-ქართლის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მოგვდიოდა საჩივარი და ეხლა კიდევ გაზ. „მწყემსში“ ვკითხულობთ, რომ სოფ. ზევნიდგანაც (ქუთაისის გუბერნიაში) მინდვრის თაგვების გამრავლებას უჩი-

---

«დროების» ფელეტონი, აგვისტო 4.

საშზღვარს იქით

კვალად და კვალად ხოლერა. — ამერიკელების დღიური ვარამი. — ბლენი და კლეველანდი. — სლავიანური აკადემია იტალიაში. — აღმოსავლეთური ზღაპარი.

ერთჯამს გულადმა და მტერზედ თავზარ-დამცემმა საფრანგეთის ხალხმა ორი განსაცდელი თითქმის ზედიზედ გამოიარა და არც ერთი მათგანი საბუთს არ გვაძლევს ვსთქვათ ჩვენს პოეტთან ერთად, რომ საფრანგეთის ხალხი იყოს

„იგივ მხნე, იგივ გულადი,
მებრძოლი შავის ბედისა“,

როგორც უწინ ყოფილა.

პრუსიელებს ისე არ დაუმარცხებიათ და შეუშინებიათ ფრანცუზები, როგორც ხოლერის შიშმა დაამარცხა. ამ სენის გამოჩენამ სამხრეთ-საფრანგეთში დაამტკიცა, რომ ეს ხალხი იქ ისე არა სცხოვრობს, როგორც განათლებულ ხალხს შეეფერება. უწმინდურობა ისეთია, თურმე, ტულონსა და მარსელში, რომ ყოველგვარ გადამდებ სენს შეუძლიან გაუჭირვებლად დაიბუდოს და საზრდო ადვილად იშოვოს. არც ტულონს, არც მარსელს, არც სხვა რომელსამე ქალაქს სამხრეთ საფრანგეთისას სხვა-და-სხვა ბაცილიების გამოკვება არ გაუჭირდება. უწმინდურებას კიდევ ვინა სჩივის, ძნელი ეს არის, რომ ერთხელ გულადობით განთქმული ფრანცუზები ათი-ათასობით უფრთხიან რაღაც პატარა უჩინარ ორგანიზმებს, რომელთაც მიკროსკოპით შეიარაღებული თვალიც კი ძნელად გაარჩევს.

თუმცა წრევანდელი ხოლერა შედარებით სხვა დროის ეპიდემიებთან სუსტია, თუმცა 24 საათში ხოლერით დახოცილთა რიცხვმა არც ერთ ქალაქში 50-ს არ გადააცილა, როდესაც უწინ დღეში ასი და ორასი იხოცებოდა, — მაგრამ ამ სენს ეხლა უფრო დიდი შიში მიუყენებია და ყველა დაზიანებული ქალაქებიდამ ნახევარზედ მეტი მცხოვრებლები, თუ მკვდრები არა, ცოცხლები გაულაგებია. მარსელიდამ სხვაგან მიმავალი მატარებელი თურმე ისეა დატვირთული პასაჟირებით, რომ კონდუქტორებს ღერძების ჩამტვრევისა ეშინიანთ. იმდენი სხდებიან უფულოდ და უბილეთოდ, რომ ჩვეულებრივი ღონისძიება სტანციებზე უბილეთოდ გადმოსხმისა აღარა სჭრის და ნება-უნებურად იძულებულნი არიან დანიშნულ ადგილამდე მიიყვანონ. სამაგიეროდ, მარსელში მომავალებულ მატარებელში ხშირად კონდუქტორისა და კოჩეგარის მეტი არავინ არის.

კაცი ვერ წარმოიდგენს, თუ როგორ დაუფთხია ხალხი ხოლერას ხოლერიან ქალაქებში: მუნიციპალური რჩევა ველარსად ველარ შემდგარა «წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო» და, რასაკვირველია, ქალაქზე მეთვალყურენიც ველარ შეასრულებდენ რიგიანად თავიანთ მოვალეობას. მარსელში ერთს მონოზნების მონასტერში ხოლერას რამდენიმე მონოზანი საიქიოს გაუსტუმრებია და სხვანი «დანი» აქედ-იქით გაქცეულან. დამმარხავებს გამოუტანიათ ხოლერიანების ტანისამოსი და ქვეშსაგები, მიუყიდნიათ მეძველეებისათვის, რომელნიც, რასაკვირველია, ამ წყაროს გადამდები სენისას მთელს ქალაქში მოსდებდენ.

როდესაც კაცი ავად ჰხდება ხოლერით, ნათესავნიც კი ანებებენ თავს, სხვაგან მირბიან, ავადმყოფი უპატრონოდ კვდება და იმ სახლებს, სადაც ეს მოხდა, სრულიად ჰფიცრავენ, რომ შიგ აღარავინ შევიდეს. მთელი ქუჩები უდაბნოდ გადაქცეულან და არლში, მაგ. 25000 მცხოვრებში, ქალაქში მეხუთედიც აღარ დარჩენილა.

ხალხს ნამდვილი მიზეზი რომ ვეღარა უპოვია-რა, ექიმებზე ჰყრილობს ჯავრს. ერთი მარსელის ექიმი ამბობს გაზეთებში: «მე წუხელის დექურნად ვიყავი და შემატყობინეს, რომ ძველს უბანში ერთი დედა-კაცი ხოლერით ავად გახდაო. მაშინვე წაველი და თან ყარაული წავიყვანე. შევდგი თუ არა ფეხი, კიბეზედ ერთი 20 წლის ყმაწვილი-კაცი დამიხვდა, ხელში დანა ეჭირა და საშინლად გაბოროტებულმა შემომძახა: „თუ დედა-ჩემთან შესვლა გაგიბედნია, მაშინვე დანით დაგკლავ!“ მე მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მამა, რომელიც დაგვემუქარა, შენცა და შენს მგზავრსაც ქუჩაში გადაგტყორცნით და ნებას კი არ მოგცემთ ჩემი ცოლი ლაზარეთში წაიყვანოთო».

მეტადრე ელეთ-მელეთი მოსდის თურმე ხალხს ლაზარეთის ხსენებაზედ: ლაზარეთში წაღებულ ავადმყოფებს წამლებთ ხელიდამართმევს, ექიმებს სიკვდილს ემუქრება, მოწამვლას აბრალებს და იქამდის მისულა ხალხის უმეცრება, რომ ჩინებულად მოწყობილი ლაზარეთი, მარსელს ახლო,

ვიანო და მათს სიმსუნაგისაგან სახლშიაც ველარა გადურჩენიათ-რაო.

═ ამავე გაზეთში სწერია: «ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობიდგან დათხოვნილ იაკობ ფხაკაძეს, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია სასწავლებლის ახალის ზედამხედველის, ბ. ტატიევისათვის, სასულიერო სასწავლებლის ანგარიში და სამმართველოს საქმეები. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამ ჩაბარებაზედ ის კომისია დაესწრებოდეს, რომელიც სამღვდელოებამ დანიშნა სასწავლებლის ხარჯის შესამოწმებლადაო»...

═ «კავკაზის» 174 ნომერში სწერია, რომ მან მიიღო ცნობა ყვავილით გადაცვლილების რიცხვის შესახებ ალაბრის მე-6 ნაწილში, სადაც სხვათა შორის გამართული იყო სადეზინფექციო კამერა იანვრის პირველიდგან. აგვისტოს პირველამდე სულ გადაცვლილა 46 სული, რომელთაგანაც ორი ამ უკანასკნელს რიცხვებში მომკვდარა.

═ იგივე გაზეთი ამბობს, რომ გუშინ წინ თბილისში ჩამოსულა სომხური ენის და ლიტერატურის პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ქეროპე პეტრეს-ძე პატკანოვი.

═ სომხურს გაზეთს «არაველქში» სწერია, რომ სომეხთ პატრიარქის ნერსესის ავადმყოფობა თან-და-თან ძნელდება და, რადგანაც სუნთქვა უჭირდება, ექიმები სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობენ, რომ ეს გაჭირვება შეუმსუ-

ბუქონ. ბონებრივი მუშაობა სრულიად აღკრძალული აქვსო.

«დროების» კორესპონდენცია.

დ. ყვირილა. ივლისის 30. ვინ არ იცის, რა დიდად სასარგებლოა რკინის გზა ყოველ სახელმწიფოსათვის. ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ ბედნიერებას და შალავათს რომელსაც რკინის გზა აძლევს ქვეყანას. მისთვისაც არის, რომ ყოველი ეკონომიურად მდიდარი და განათლებული ქვეყნები მთლად მოდებულია რკინის გზის ლიანდაგებით. როგორც ყოველ გვარ საზოგადო საქმეს, ისე რკინის გზების მმართველს პირველად იმ საზოგადოების და იმ ქვეყნის ინტერესი უნდა აწუხებდეს და ამგვარად სცემდენ პატივს იმათ ვისთვისაც რკინის გზა არის გაყვანილი. ამგვარი გზების გაყვანის დროს უნდა ხელმძღვანელობდენ, არა თუ მარტო ერთი და ორი „ბობოლების“ პლანით, არამედ მთელი საზოგადოების აზრითა და სურვილით. ამ ჩვენს ქავკასიის აქეთ რკინის გზის მმართველობამ კი უფრო კერძო პირების თხოვნას სცა პატივი და ააგო «სტანციები» ისეთ ალაგას, სადაც არც ერთი მდიდარი სოფელი და არც ქალაქი არ არის ახლო. აი, თუ გნებავთ აილეთ სტაჯამეთი. ვისთვის ააშენეს ეს სტანცია ამ უდაბურ ტყეში, თუ არ იმ ერთი პირისთვის, რომლის მამულშიც არის ეს სტანცია. რა უჭირდა, როცა საზოგადოებამ სთხოვა, ცოტა ზევით შემოეწიათ, სადაც გარშემო ეკვრებოდა ისეთი მდიდარი სოფლები, როგორც მაგალ. სვირი, ქვალითი, არგვეთი და სხვანი.

ამას გარდა, რა წაუხდებოდათ, რომ დ. ყვირილაში საქონლის სტანცია (товарная станція) ზევით უფრო მოსახდენ ადგილას და ქალაქის ახლოს გაეკეთებინათ. რატომ არ შევიდენ მაშინ ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც ეხლა ერთი ვერსის სიშორიდგან ამოგვაქვს ჩვენ ჩვენი საქონელი და თითქმის ამ სტანციიდგან ურმით ან დროგებით ალაგზე მიტანა უფრო ბევრი გვიჯდება, ვიდრე რკინის გზით წაღება

ამას თავი დავანებოთ, რა უფლებით ბრძანდებიან აღჭურვილნი ზოგიერთა სტანციების და დისტანციების უფროსები, რომ ვისთვისაც უნდათ და სადაც სურთ, იქ აძლევენ დასაცლელ ვაგონებს. თუ საზოგადოდ ეს წესი ყველასათვის უნდა იყოს, ჩემის აზრით, არა მარტო მათ კარგ ნაცნობთათვის უნდა არსებობდეს იგი. რად ინება ბბ. ყ—ის სტანციის უფროსმა და დისტანციისამ, რომ ორსამ პირს, რომლებმაც ვაგონების დაცლა სთხოვეს უფრო სტანციის ახლოს, უარი უთხრეს და ერთს აქაურს ჩვენზე უფრო თვალ-საჩინო ადგილზედ მოსამსახურე პირს კი მიართვეს მაშინვე, სადაც სურდა ვაგონები და დააცლევინეს. ნუ თუ რკინის გზა მარტო იმათთვის და მათ კარგ ნაცნობებისათვის არის და არა საზოგადოებისათვის?

ახლა კი ვრწმუნდები თან-და-თან რომ ეს ჩვენი რკინის გზა არამც თუ საზოგადოებისთვის არის გაკეთებული, არამედ ჩვენ ვყოფილვართ ამ გზაზე საწყალობლად გაჩენილი სხვა-და-სხვა გვარ მოსამსახურე პირთა წყალობით. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამოდენსამე ფაქტს, რომელიც ამ დღეებში ჩემს თვალწინ მოხდა. ყვირილის სტანციიდგან პირველი სტანცია არის ძირულა, სადაც სამი თუ ორი წამი აჩერებენ მარტო მატარებელს. აქ, დაიძრა თუ არა მატარებელი, შემოხტა ზედ ერთი იმერელი, რომელსაც ჰკრეს ხელი კონდუქტორებმა, გადააგდეს ვაგონიდგან და დასტოვეს ადგილობრივ. ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ შეეხედა ამ იმერლისთვის და არ შებრალებოდა. იმის ღრეჯა, იმის მოწიწებით და თითქმის თვალ-ცრემლიანად თხოვნა კონდუქტორებისა და სტანციის უფროსისადმი შეატყობინებდა, რომ ამ კაცს სწორედ რაღაც ძლიერ საჭირო საქმე აქვს და სწუხს წაუსვლელობისა გამო საქმის გაფუჭებას.

თურმე საბრალოს ვერ მოესწრო ბილეთის ყიდვა თავის დროზე და შემდეგ ეხვეწა: აი თუგინდ სამჯერ მეტი გადამახდევინეთ შემდეგს სტანციაზე და ნუ კი დამტოვებთო, მაგრამ მაინც არ შეუშვეს ვაგონში. ამასობაში კიდევაც მოვედით მარელისის სტანციაში, სადაც ამგვარსავე სცენას დავესწარი. მაგრამ აქ კონდუქტორს კი არა აქვს საქმე მგზავრთან, უფრო დიდს «ბობოლას», კანტროლიორს ბ. ნ—ვს, რომელიც დინჯად სდგას სტანციის წინ და უყვირის სტოროჟს: держи его, выведи скорѣе изъ вагоновъ, не допускайте къ вагонамъ და სხვანი. ამაზედ ვკითხე ბ—ნს კონტროლიორს: აქვსთ მათ ნება თუ არა, რომ პასაჟირებს ასე უმართებულოდ და თითქმის უწესოდაც ექცევიან. მაგრამ პასუხის მაგიერად ისეთი რამ წამოროშა, რომ მაშინვე შევიტყე, რა კაცთანაც მქონდა საქმე.

მიუნგრ-მოუნგრევია და ექიმები და კომისარები მიურეკ-მოურეკნია.

***

იმ დროს, როდესაც ევროპაში ყველა მმართებლობანი ამ მოუწვეველ სტუმარზედ ჰფიქრობენ და ცდილობენ არ შემოუშვან იგი თავიანთ სამფლობელოში, როდესაც გამოჩენილი ექიმები და მეცნიერები თითქო ერთი ერთმანეთის შეჯიბრებით თავ-თავიანთ აზრს, ხშირად ერთი ერთმანეთის წინაალმდეგს, ურიგებენ შეშინებულ საზოგადოებას, როდესაც ისე დღე არ გავა, რომ სიტყვა «ხოლერა» ტრილიონჯერ არ წარმოითქვას და არ ჩაიბეჭდოს ურიცხვ გაზეთებში, — ამ დროს, ოკეანეს იქით, ამერიკის დიდებული რესპუბლიკის ხალხს სხვა ზრუნვა აღელვებს, სხვა გადამდები სენი აწუხებს. ეს სენი ოთხ-წელიწადში ერთხელ ეწვევა ხოლმე შეერთებულ შტატებს და ფეხზედ აყენებს ყველა მის მცხოვრებლებს. ეს სენი პრეზიდენტის ამორჩევაა.

მომავალის ნოემბრის 5-ს უთავდება ვადა, ბარფილდის მოკვლის შემდეგ, შემთხვევით გაპრეზიდენტებულს არჩერს და იმ ვადისათვის ახალი პრეზიდენტი უნდა იქმნას არჩეული. თუმცა ეს უფლება ძვირფასი და სანატრელი უფლებაა, მაგრამ ამერიკულმა ცხოვრებამ იგი ისე დაასახიჩრა, რომ შეცდომით არ მოგვივიდა, როდესაც ამერიკულ საარჩევნო ციებ-ცხელებას გადამდები სენი ვუწოდეთ. საქმე ის არის, რომ ამერიკაში დიდი ხანია, რაც იბრძვის ორი პარტია: ერთი რესპუბლიკური, მეორე დემოკრატიული. ამ ორ პარტიის შუა ბრძოლა ხშირად პირადს ბრძოლად გადაიქცევა ხოლმე და მოპირდაპირენი არაფერსა ჰზოგვენ, რომ თავიანთი წადილი შეისრულონ, თავიანთ არჩეული კაცი დასვან საარჩევნო ალაგზე. ამ ბრძოლას მეტის-მეტი გამრყვნელი გავლენა აქვს ამერიკელებზე: თუ რესპუბლიკურმა პარტიამ შეიძლო დემოკრატის ჩამოგდება რომელიმე თანამდებობიდამ, ყველა დემოკრატებმა, რომელნიც მის ხელ-ქვეით მსახურებდენ, უნდა გაუყონ მას უბედურება და თითონაც გადადგენ სამსახურიდამ. სამაგიეროდ, რესპუბლიკის ბედნიერი კანდიდატი დაცარიელებულ ალაგებს ურიგებს თავის მომხრეთ, რომელნიც, ამის გამო, თუ იბრძვიან, ხშირად იმიტომ იბრძვიან, რომ პრეზიდენტის ნასუფრალი გუბერნატორობის, ხაზინადრობის ან სეკრეტრობის სახით, თითონაც ირგუნონ.

ამ ჟამად ეს ციებ-ცხელება აქვს შეყრილი ამერიკის შტატებს და ორივ პარტია გაცხარებული იბრძვის თავის კანდიდატის ამოსარჩევად. 24 წელიწადია, რაც პრეზიდენტობა რესპუბლიკელებს არ წართმევიათ ხელიდამ, მაგრამ ეხლა კი საეჭვოა, რომ მათ თავიანთ კანდიდატის ამორჩევინება მოახერხონ. დემოკრატებმა (მკითხველს არ უნდა ეგონოს, რომ, რაკი დემოკრატები რესპუბლიკელების წინაალმდეგნი არიან, რესპუბლიკისაც წინაალმდეგნი იყვნენ. ეს მხოლოდ სახელწოდებაა და არც ერთი პარტია ცუდს ვერას განიზრახავს იმ წეს-წყობილებაზედ, რომელიც მათს სამშობლოს დედის რძესავით შესთვისებია) თავიანთ კანდიდატად ამოირჩიეს ნიუ-იორკის გუბერნატორი, კლეველანდი, 47 წლის კაცი. კლეველანდს ყმაწვილობაში ბევრი სილარიბე გამოუვლია, ორი წელიწადი დუქანში დახლიდრად ყოფილა, ოთხი წელიწადი გაუტარებია წერილების დამტარებლად და მწერლად ერთის ადვოკატის კანტორაში; მაგრამ, მიუხედავად ამ გამოვლილი სილარიბისა, მისნი მტერნიც კი ვერა ჰბედავენ რაიმე ცილი შესწამონ და ჩირქი წასცხონ მას. ამ ყოვლად-პატიოსანს, შრომის-მოყვარე და სამართლიან კაცს რესპუბლიკელებმა დაუპირდაპირეს ბლენი — ბარფილდის დროს გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი. ბლენი, თუმცა ნიჭიერი კაცია და «ფხაცა» აქვს, მაგრამ პატიოსნება მას ხელის-ხელსახოცად მიაჩნია. როდესაც იგი მინისტრად იყო, კინაღამ ომი არ აუტეხა ჩილის რესპუბლიკას მხოლოდ იმიტომ, რომ ომი სასარგებლო იქნებოდა ერთის აქციონერულ კამპანიისათვის, რომელიც მას უხვს საჩუქარს დაჰპირდა. ეს გარემოება დამტკიცებულია თვით მისი წერილებითვე და მისგან უარ-ყოფილი არ არის.

ბლენის მოქრთამეობამ ისე აალელვა თითონ რესპუბლიკელები, რომ მათ შორის ცალკე პარტია შესდგა, რომელმაც «დამოუკიდებელი» დაირქვა და ბლენს გაკიცხვა გამოუცხადა. დემოკრატების პარტია გამარჯვებას ლამოდა და ალტაცებულს სიხარულსაც შეუდგა, მაგრამ ბოლოს პარტიობამ მაინც დასძლია და ამ „დამოუკიდებელმა“ პარტიამ გადასწყვიტა, თუმცა ბლენი მოსაწონი კონდიდატი არ არის, მაგრამ ისევ ისა სჯობს დემოკრატ-პრეზიდენტსაო.

სიმდიდრისადმი და მხოლოდ სიმდიდრისადმი ლტოლვილებამ იმდენად გააუზნეურა ამერიკელები, რომ იგი-

ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი დროშდის, ეუთხარი და დავანებე თავი. ესთქვი, მოვრჩი, ამის მეტს უწესოებას ეხლა მაინც აღარ შევხვდები მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება: ბეჭათუბნის სტანციაში არამცთუ ამ გვარი პატარა შემთხვევა — კარგი «სკანდალიც» მოხდა. ერთ პასაჟირს გვარად ღ—ძეს ვერ მოესწრო სტანციაში ბილეთის აღება და ისიც უბილეთოდ ჩამჯდარიყო. ჩამოიარა კონტროლიორმა და ღ-ძემ გამოუცხადა, რომ მე ბილეთი არ მომცა სტანციის უფროსმა ბ. ლ— შელმა, რომელიც მე მემტერებაო და უბილეთოდ ჩავჯექი, შეგიძლიათ ბეჭათუბანში წარმადგინოთ და იქიდგან ვიყიდო. აქ წარადგინეს ეს მგზავრი და ჰკითხეს სახელი და გვარი პროტოკოლის შესადგენად. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოუარა რაღამაც სტანციის უფროსს და უბრძანა ჟანდარმებს: не пускать его въ вагоны, а то всѣ лишитесь мѣстъ; დარეკეს მესამედ, დაიძრა მატარებელი და შეიქმნა ერთი ყვირილი და მუშტის ცემა. სტანციის უფროსი სცემს სტოროჟებს და ილანძღება გამოუთქმელის ენით: не пускать его, бейте, а то всѣхъ уволю და სხვანი. ღ—ძე ბილეთს იღებს ჯიბიდგან და აჩვენებს: რას მერჩით, პროტოკოლი შემიდგინეთ აქ და აქიდგან ბილეთი ვიყიდე სურამამდისო (ღ—ძე სურამში მიდიოდა). მთელი პასაჟირები ხედავდენ ამ გვარ უწესოებას, რომ კაცს ბილეთი ხელში აქვს და ვაგონში უფროსი არ უშვებს. ჩემგან არ გიყიდია ეგ ბილეთიო, შენ აქ იყავი გაჩერებულიო, შენ ეგ ბილეთი არ გიყიდნიაო,— უპასუხებს მგზავრს. იქნება, ასეა მართლა! ვინც თავის ბილეთს თავი-თონ არ იყიდის, ის ბილეთი არ ვარგებულა მაშ. მაშ ეს ჩვენი დიდ-კაცობა და თავადობა, რომ ლაქიებს აყიდვინებენ ბილეთებს, ნეტავი, თუ იმათაც ამ გვარი შემთხვევა ემართებათ, თუ ეს მარტო ბ—ნ. ღ—ძეზე მემოიღეს— ბეჭათუბნის სტანციაში?!

თ. ხუსკივაძე.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, მკითხველის 22-ს. საშინელი გვალვა დადგა ქახეთში და ამას მოჰყვა, როგორც პირდაპირი შედეგი, ციებ-ცხელებაც. სოფელში ვერ გაიელი ისე, რომ ათი-თხუთმეტი არ შეეხვდეს ნესვივით გაყვითლებული. პური და ქერი კი მოაშორეს გლეხებმა ამ სულის შემხუთავ სიცხეებს, მაგრამ ვენახებს და სიმინდებს კი ცუდი დღე დაუყენა. რაც გაზაფხულის სიცივემ და სეტყვამ დააკლო, იმას სიცხე და გვალვა უსრულებს. ნამეტნავად ცოდვის ლული ტრიალებს იმ სოფლებში, სადაც, წყლის უქონლობისა გამო, არ ირწყვება სიმინდი და ვენახები. პურის გამოსავალსაც ემდურიან გლეხები.

საუბედუროდ, სწორედ ამ დროს ჩაუდგენენ ზეკუციასავით გლეხებს სხვა-დასხვა და მოხელენი თავიანთ ამალებით, რომელნიც იმდენს არა მუშაობდენ, რამდენსაც «ურას» იძახდენ და ამასობაში სულ კი დააცარიელეს იმ სოფლის მარნები, რომელნიც გაბედნიერდენ იმათი მობძანებით. მაგრამ დახეთ „ბახუსის“ უმადურობას! მას მოსწყინდა (ნეტა, ზოგიერთებს მოსწყინდეს ხოლმე ქრთამების ხვეჭა!) ამდენი მსხვერპლი და გარდასწყვიტა თავის თაყვანის-მცემლების დასჯა. საქმე აი რაში გახლავთ:

ერთხელ ბ—მერი ხ—ნი, ა—ტი-ნის-გზები, ტელეგრაფები და ცეცხლის გემები შემოიღეს, გარდუვალი საზღვრები შეილეწა და თითქმის მთელის ევროპის ხალხნი სცდილობენ ერთიერთმანეთის გაცნობას. ამ გვარს ლტოლვილებას უნდა დაბრალდეს, რომ იტალიის ქალაქს ბოლონიაშიც კი დაუფუძნებიათ «სლავიანთა აკადემია», რომელსაც თავის საგნად სლავიანთ ენისა და ლიტერატურის შესწავლა აქვს. აი ერთი მგზავრი ლიტერატორი რას მოგვითხრობს ამ აკადემიაზედ «მოსკოვის უწყებებში».

«მე მინდოდა შემეტყო, თუ იტალიელები როგორა სწავლობენ ჩვენს ენას და ლიტერატურას... დილის 7 საათზედ ჩავჯექ დრეზდენში და აკადემიაში წავედი.

აკადემია მიცკევიჩისა, სწერია კარებზედ.

— შენ მგონი სხვაგან მომიყვანე, ვეუბნები კუჩერს.

— რას მიბძანებთ, ბატონო, სლავიანთა აკადემია და აკადემია მიცკევიჩისა ერთი და იგივეა, ბოლონიაში ამასაც უძახიან და იმასაც. ამ ამბავმა ძალიან ჩამაფიქრა: რად დაურქმევიათ იმ დაწესებულებისათვის, რომელსაც ისეთი ვრცელი და დიდ-მნიშვნელოვანი საგანი აქვს, როგორც სლავიანთა ენების შესწავლა, მიცკევიჩის აკადემია?

ზარი ჩამოვრეკე და შევედი; პრეზიდენტის მოლოდინში, ოთახებს სინჯვა დავუწყე. ოთახები სუფთად ჩამწკრივებულიყვნენ; ყველგან შკაფები იდგა წიგნებით სავსე; კედლებზე ბიუსტები იყო, კედლებზე პორტრეტები ეკიდა. აი ბიუსტი მიცკევიჩისა, ქრასინსკისა, ქოპერნიკისა; აი სემირადსკის და სხვა პოლშელი მხატვრების ნახატთა კოპიები. ეს ყველა კარგი, მაგრამ სად არიან ბიუსტები ლომონოსოვისა, დერჟავინისა, პუშკინისა, ბოგოლისა? სად არიან კოპიები ივანოვის და ბრიულოვის ნახატთა?

ამ გვარი სრულიად არაფერი მოსჩანს. რამდენიმე ასს პოლშურ წიგნებში გამორეულა რაღაც ბედკრული რუსული ანბანი, რომელიც ამ ჟამად ჩვენის სასოფლო სკოლებიდამ გამოდევნილია კიდეც. მაშ ესე! ასი მილიონი ხალხი, რომელსაც მდიდარი და თავისებური ენა და მდიდარი ლიტერატურა აქვს, ძვირფასნი მოღვაწენი ჰყავს,—დაიწყებია სლავიანთა აკადემიას და ბოგოლისა და პუშკინის ბიუსტებისათვის არ დაუთმიათ თავის თარჯიმნით და სხვა მრავალნი «არა-ჩინოვნიკები» კარგად გაჟენთილნი ღვინით შეიყარნენ ერთ ჩრდილ ქვეშ და ყოველმა მათგანმა მოინდომა სიმარჯვეით ერთს მეორესთვის ეჯობნა; დაიწყეს ჯოხზედ ხტუნვა (იქნება ეს უბადრუკნი კიდეც ფიქრობდენ, რომ ვინც უფრო მაღლა შეხტებოდა, ის ამით ხალხის თვალშიაც ამაღლდებოდა; ვინ იცის?!), ამ ხტუნვაში ერთ მათგანს მოუსხლტა ფეხი და, ცოტას გაწყდა, ხელთან ერთად კისერიც არ მოიტეხა.

ბახუსის თაყვანის-ცემას ჯანი გავარდეს, იმათმა სეირნობამ უფრო ილაჯი გაუწყვიტა გლეხებს.—აბა, მამასახლისო, ცხენები! —რა ექნა საწყალ მამასახლისს, თვალი უნდა მოეთხარა და მიერთმია მათთვინ ცხენები, რათა მათ «დიდ-კაცობას» გაესეირნათ საითმე ფიქრთ გასართველად და სევდის გასაქარვებლად.

მაშ რა ქნან, «პრაგონის» ფულები პაპიროზისთვისაც არა ჰყოფნით!.. ასე და ამა მიზეზთა გამო სასიამოვნო საქმისთვის მოსულნი სტუმარნი ზიზღით გაისტუმრეს აქაურებმა.

ჩვენმა პატივცემულმა ლ—ჩმა ა. ედ—მა ერთი ახალი ჯიბის გასატენი საშუალებაც გამოძებნა. მე მოგახსენებთ თოფის წამლით ვაჭრობაზედ. მოგეხსენებათ, რომ ყველა ლ—ჩს მოსდის რამდენიმე ფუთი თოფის წამალი, რათა მან დაურიგოს იგი „აბეშჩიკებს“ და ტყის ყარაულებს, რასაკვირველია, სყიდვით, მაგრამ ორ ზომა ფასად კი არა. ბ. თელავის ლ—ჩმა კი ამჯობინა სხვა გარეშე პირებზედ გასაღება წამლისა და, რასაკვირველია, ერთი ორად. ამ განზრახვის აღსასრულებლად იმან კარგი მომხრეც იშოვნა. ბ. კ—შვილმა (ღ—ჩის კონდუკტორია) გამართა ოჯახი და თავის სახლში და თავის ერთგული აბეშჩიკების წყალობით მოჰფინა ხმა მთელ თელავის მაზრაში, რომ კონდუკტორი ჰყიდის თოფის წამალს ძალიან იაფადაო, ესე იგი 80 კაპ., რა ახლო ახლო არიან ერთმანერთზე 45 კაპ., და 80 კაპ.. ასე გაიმართა ვაჭრობა წამლით, და რომელი ვაჭრობა იმართება განა სხვა ნაირად?!?

ამდენი უსიამოვნო ამბების შემდეგ, გასართობი ამბებიც უნდა ვუძღვნა მკითხველს. ჩამოვიდენ თბილისიდგან სხვა-და-სხვა სასწავლებლის შეგირდები და გაიმართა თელავში წარმოდგენები; მათ თან მოჰყვა მაგიის პროფესორი მიხაილოვსკი და თავის ფანტასტიური წარმოდგენებით ართობს თელავის საზოგადოებას. ამათ გარდა, ამ ცოტას ხანში ჩამოვიდა თელავში არტისტი რატიღი და პირველ კონცერტს მართავს სამშაბათს, 24 ამ თვისას. კარგის ამბების სიცოტაეზედ ნუ დე მემდურები, მკითხველო! ზოგი შემდეგისთვის დარჩეს.

ვ-ნო.

ᲬᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ

(,,ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ‘‘)

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ 2-Ს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. დაიწვა ცხენის საჯოგე თ. ხილკოვისა ტულის გუბერნიაში; საუკეთესო ჯიშის ცხენები დაიღუპნენ; გადარჩა მარტო ერთი ფაშატი.

ᲧᲐᲖᲐᲜᲘ. დღეს იფეთქა სახელოსნო და საშრობი თოფის წამალი მიცკევიჩისა და კრასინსკიე გვერდით.»

***

დასასრულ, «მოსკოვის უწყებების» თანამშრომლის გოდების შემდეგ, მე მსურს ვაცნობო მკითხველს ერთი მშვენიერი ალმოსავლეთური ზღაპარი. რომლის შინაარსზედაც გამოჩენილ კომპოზიტორს რუბინშტეინს მთელი ოპერა დაუწერია.

„ყმაწვილს კაცს შეუყვარდა მშვენიერი ყმაწვილი ქალი, რომელიც იმის პირდაპირ სცხოვრობდა და გულს იმით იქარვებდა, რომ თავის ოთახის სარკეში ჰკოცნიდა მის სახეს. ძალის მშობლებმა შეუტყეს ეს ყმაწვილ-კაცს და იჩივლეს ქალის შეურაცხებისათვის. მსაჯულმა ყმაწვილი-კაცი დამნაშავედ იცნო, მაგრამ რა სასჯელი დაენიშნა, არ იცოდა. ერთმა ვაჭარმა გამოიყვანა იგი გაჭირვებიდამ. რადგან ყმაწვილი-კაცი ქალის სახეს ჰკოცნიდა, იმის აჩრდილს ასი ჯოხის დარტყმა განუჩინეთო“.

სოლომონ ბრძენსაც შემურდებოდა გონიერება ამ ალმოსავლეთელი ვაჭრისა.

ნი მზანი არიან რესპუბლიკის უპირველესი ალაგი მოქრთამეს დაუთმონ, ოღონდ თავიანთ პარტიის კაცი კი იყოლიონ პრეზიდენტად; მაშინ მის კალთას ხელ-ჩაევლებულნი თითონაც ელირსებიან რაიმე მცირე ალაგს. რაღა გასაკვირველია, რომ არჩევნის წინად იქ ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენს ამომრჩევლების შესყიდვა, მთელი სასტუმროების დაქირავება, სადაც კენჭოსნები ორმოცნი და სამოცნი წვანან ერთსა და იმავე ოთახში უადგილობისაგამო და სიფხიზლის დროს თავი-ღვინოებითა და შამპანსკებითა ქეიფობენ. როდესაც კაცი თავის კერპად მხოლოდ ოქროს ხბოს გაიხდის, მაშინ ის კი არ უნდა გვიკვირდეს მისგან, რომ მოქრთამეობასა და სხვების შესყიდვას მისდიოს, ის უნდა გვიკვირდეს, რომ პატიოსნების მაგალითად გამხდარიყოს იგი.

***

ამერიკელები თავს არ იცხელებენ ევროპის ამბებით, ხოლერაც კი არ აშფოთებს მათ, რადგან ატლანტიის ოკეანე კი კარანტინობას უშვრება. ევროპიელები კი ვერ შეელევიან ამ გვარ ცნობებს და თავიანთ კეთილდღეობა შეკავშირებული აქვთ მეზობლის კეთილ-დღეობასთან. რაც რკინის-გზები, ტელეგრაფები და ცეცხლის გემები შემოიღეს, გარდუვალი საზღვრები შეილეწა და თითქმის მთელის ევროპის ხალხნი სცდილობენ ერთიერთმანეთის გაცნობას. ამ გვარს ლტოლვილებას უნდა დაბრალდეს, რომ იტალიის ქალაქს ბოლონიაშიც კი დაუფუძნებიათ «სლავიანთა აკადემია», რომელსაც თავის საგნად სლავიანთ ენისა და ლიტერატურის შესწავლა აქვს. აი ერთი მგზავრი ლიტერატორი რას მოგვითხრობს ამ აკადემიაზედ «მოსკოვის უწყებებში».

«მე მინდოდა შემეტყო, თუ იტალიელები როგორა სწავლობენ ჩვენს ენას და ლიტერატურას... დილის 7 საათზედ ჩავჯექ დრეზდენში და აკადემიაში წავედი.

აკადემია მიცკევიჩისა, სწერია კარებზედ.

— შენ მგონი სხვაგან მომიყვანე, ვეუბნები კუჩერს.

— რას მიბძანებთ, ბატონო, სლავიანთა აკადემია და აკადემია მიცკევიჩისა ერთი და იგივეა, ბოლონიაში ამასაც უძახიან და იმასაც. ამ ამბავმა ძალიან ჩამაფიქრა: რად დაურქმევიათ იმ დაწესებულებისათვის, რომელსაც ისეთი ვრცელი და დიდ-მნიშვნელოვანი საგანი აქვს, როგორც სლავიანთა ენების შესწავლა, მიცკევიჩის აკადემია?

ზარი ჩამოვრეკე და შევედი; პრეზიდენტის მოლოდინში, ოთახებს სინჯვა დავუწყე. ოთახები სუფთად ჩამწკრივებულიყვნენ; ყველგან შკაფები იდგა წიგნებით სავსე; კედლებზე ბიუსტები იყო, კედლებზე პორტრეტები ეკიდა. აი ბიუსტი მიცკევიჩისა, ქრასინსკისა, ქოპერნიკისა; აი სემირადსკის და სხვა პოლშელი მხატვრების ნახატთა კოპიები. ეს ყველა კარგი, მაგრამ სად არიან ბიუსტები ლომონოსოვისა, დერჟავინისა, პუშკინისა, ბოგოლისა? სად არიან კოპიები ივანოვის და ბრიულოვის ნახატთა?

ამ გვარი სრულიად არაფერი მოსჩანს. რამდენიმე ასს პოლშურ წიგნებში გამორეულა რაღაც ბედკრული რუსული ანბანი, რომელიც ამ ჟამად ჩვენის სასოფლო სკოლებიდამ გამოდევნილია კიდეც. მაშ ესე! ასი მილიონი ხალხი, რომელსაც მდიდარი და თავისებური ენა და მდიდარი ლიტერატურა აქვს, ძვირფასნი მოღვაწენი ჰყავს,—დაიწყებია სლავიანთა აკადემიას და ბოგოლისა და პუშკინის ბიუსტებისათვის არ დაუთმიათ ალაგი მიცკევიჩისა და კრასინსკიე გვერდით.»

***

დასასრულ, «მოსკოვის უწყებების» თანამშრომლის გოდების შემდეგ, მე მსურს ვაცნობო მკითხველს ერთი მშვენიერი ალმოსავლეთური ზღაპარი. რომლის შინაარსზედაც გამოჩენილ კომპოზიტორს რუბინშტეინს მთელი ოპერა დაუწერია.

„ყმაწვილს კაცს შეუყვარდა მშვენიერი ყმაწვილი ქალი, რომელიც იმის პირდაპირ სცხოვრობდა და გულს იმით იქარვებდა, რომ თავის ოთახის სარკეში ჰკოცნიდა მის სახეს. ძალის მშობლებმა შეუტყეს ეს ყმაწვილ-კაცს და იჩივლეს ქალის შეურაცხებისათვის. მსაჯულმა ყმაწვილი-კაცი დამნაშავედ იცნო, მაგრამ რა სასჯელი დაენიშნა, არ იცოდა. ერთმა ვაჭარმა გამოიყვანა იგი გაჭირვებიდამ. რადგან ყმაწვილი-კაცი ქალის სახეს ჰკოცნიდა, იმის აჩრდილს ასი ჯოხის დარტყმა განუჩინეთო“.

სოლომონ ბრძენსაც შემურდებოდა გონიერება ამ ალმოსავლეთელი ვაჭრისა.

ლის ქარხანამ და აფეთქებისაგან ცეცხლი წაეკიდა ხუთს ახლო მდებარე შენობას; ბევრი გვამი იპოვეს; ათ მეშაზე მეტი დაიღუპა; აფეთქების მიზეზი ჯერ არ იციან.

ლონდონი. სესია პარლამენტისა გადაიდვა. სამეფო სიტყვაში გამოცხადებულია მწუხარება იმის გამო, რომ კონფერენციამ ვერა გაარიგა-რა; ამასთანავე სიტყვაში სწერია, რომ ინგლისი კეთილსინიდისიანად აღასრულებს თავის მოვალეობას ეგვიპტის დაცვის შესახებ.

ვენა. ოფიციოზური „ფრემდენბლატტ“ ამბობს, რომ კალნოკის და ბისმარკის ერთმანეთის ნახვას სხვა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა იმისა, რომ განამტკიცონ გერმანიისა და ავსტრიის შორის მეგობრობა.

აგვისტოს 3-ს.

პეტერბურგი. ,,ს. პეტერბურგის უწყებანი‘‘ ამბობენ, ხმა არის რომ რუსეთსა და ავსტრიის შუა კონვენცია შეკრული, რომლის ძალითაც ნება ეძლევათ პირ-და-პირ ურთიერთობაში იყვნენ სამსაჯულო სასამართლონი ვარშავისა, ლვოვისა და კრაკოვის სამსაჯულო ოლქებისა სამოქალაქო და სისხლის სამართალის საქმეების გარჩევის დროს.

პეტერბურგის გარემემო ადგილებში სამი კაცი მოკვდა შხამიანი ბუზის კბენისა გამო. ამ გარემოებას ისეთს ფაკტად ჰსახავენ, რომელსაც ციმბირის ჭირთან უნდა ჰქონდეს კავშირიო.

პარიჟი. გუშინ პალატის მიერ ბჭობის დროს სესხის თაობაზე ტონკინის ექსპედიციისათვის, ფერიმ სთქვა, რომ ჩინეთთან ატეხილს საქმეში ის უფრო შეიძლება რომ მრავალ-მოთმინება გვისაყვედურონ, ვიდრე აჩქარებაო; ხოლო კელუნგის ფორტების დაქცევა ჯერ კიდევ ომს არა ჰნიშნავს, იმიტომ რომ ჩინეთთან მოლაპარაკება ჯერ ისევ სწარმოვებს და მის რიგიანად დაბოლოვებას ცოტას არ უშვლის ის გარემოება, რომ პალატამ ნება დაჰრთოს მთავრობას დაიჭიროს ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილები საფრანგეთის უფლებათა დასაცველად.

რომი. სენით მოდებულ ხუთს თემში გუშინ რვა კაცი გახდა ავად ხოლერით და მათ შორის ოთხი მოკვდა.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ბაყლებსა და ბაღის მეპატრონეთა, რომ მან აღკრძალა შემოტანა ტფილისში მკუხე ხილისა; ამისათვის სთხოვს ყველას, ვინც ხილითა ვაჭრობს, არ იყიდოს ამ გვარი ხილი, თორემ გამგეობა წაართმევს გამყიდველს და გადაჰყრის მას. (3—1)

გამოვიდა

საბა-სულხან ორბელიანის

ლექსიკონი

ავტორის სურათით და ისყიდება ანჩხატის ეზოში მღვდლის გრიგოლ მღებრიევისას.

ფასი ოთხი მანათი ადგილობრივ, ხოლო გაგზავნით ოთხი მან და ერთი აბაზი.

ახლად გაიხსნა თბილისში

მეხანიკური ქარხანა

სახელწოდებით

„ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე“

არსენალის აღმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავისა.

ქარხანა მიიღებს ყოველგვარ სამეხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნების მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ქარხანა მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს ბბ-თ მიწათ-მომქმედთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. ყველა სამუშავო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხოვნილებათა-მებრ გაეგზავნებიან დაუყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. ყველა ნივთსა და იარაღს, რომელიც არ გამოდგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბრუნებს მსყიდველს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანაში არის გასასყიდად ჩვენგან გაკეთებული და გაუმჯობესებული მოწყობილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებულის ნივთებისა და აგრეთვე დარიგება წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ქარხანაში მიიღება აგრეთვე შეკვეთა წყლის წისქვილის გასაკეთებლად. უმორჩილესად ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემკვეთელთ თავიანთი ადრესი გარკვევით დანიშნონ. ქარხნის კანტორა ღიაა მუდამ დღე 8 საათიდამ 2 საათამდე და 5—8-მდე საღამოზით, კვირა, უქმე-დღის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს საშენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკეთესო მაღაზიებიდამ იყიდის და გაუგზავნის თავის მუშტარს. (10—10)

ნ ა ფ ი ც ი ვ ე ქ ი ლ ი

სერგეი ვასილის-ძე

ჩემესოვი

გადავიდა საპიროს ქუჩაზე, ბაბანასოვის სახლებში (5—4)

სანთელი სტეარინისა I-ლი სორტი

4-იანი და 5-[illegible], გირვან. 28 კაპ. უკეთუ სხვის სანთელი ჩვენს სანთელზე იაფი იყოს და სიკეთით ჩვენსასა სჯობდეს, ვსთხოვთ ბბ-ნთ მსყიდველთ სინჯონ ჩვენი სანთელიც და შეადარონ სხვებისას.

ტოლე. (5—5)

ა რ წ რ უ ნ ი ს ე უ ლ ქ ა რ ვ ა ს ლ ა შ ი

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—8)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი,

თ მ ი ს-ა მ ო მ უ ვ ა ნ ი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—51)

მ ა კ-მ ა ს ტ ე რ ი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

ნაფტალინი (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან ტფილისში, საათფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—40)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუ.			
სეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა —	—1	გ.	$2^1/_2$
მეორისა — —	—1	გ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	გ.	$4^1/_2$
მეორისა — —	—1	გ.	3 კ.
მესამისა — —	—1	გ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	გ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა — —	—1	გ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	8 კ.
მეორისა — —	—1	გ.	7 კ.
სუკი . . .	—1	გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	—1	გ.	8 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	— კ.
მეორისა — —	—1	გ.	— კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Августа 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი